ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2549876

ნომერი: AR1396727

თარიღი : 14.04.2016

გაცემის თარიღი : 19.04.2016

გაცნობის თარიღი : 19.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 14/04/2016 წლის

AR1396727 განცხადებით მომართეს ირაკლი ბარნაბიშვილმა, ნუკრი ლიპარტაშვილმა, ვასილ ბოლაშვილმა და ბეჟანი ანუაშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის #632 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებლის წარმოდგენილი ახალი განმარტებითი ბარათის შესაბამისად შეცვლა.
განმცხადებლების განმარტების თანახმად, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის #632 ბრძანებით დამტკიცდა პროექტი #717, გამსახურდიას გამზირ #5-ში, საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიულ კორპუსზე მოქალაქეთა განმარტებით ხსენებულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და უნდა გასწორდეს მათ მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის მიხედვით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად ახალ განმარტებით ბარათში გამოვლინდა უზუსტობები, კერძოდ: წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ა, ბ, და გ ბლოკების ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები არ ემთხვევა ამონაკრებ მაჩვენებლებს, ასევე არ ემთხვევა სართულიანობა და რაც მთავარია ვერ ხდება წარმოდგენილი შეთანხმებული პროექტის განმარტებითი ბარათების ბრძანებასთან იდენტიფიცირება, შესაბამისად შეუძლებელია ამ დოკუმენტაციის საფუძველზე მსჯელობა ცვლილების შესატანად.
ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ერთმანეთთან მოდის შეუსაბამობაში, საჭიროა წარმოდგენილი იქნას სრული საპროექტო მასალა კარგი გარჩევადობით, დამოწმებული სახით, რომლის შესაბამისობის დადგენაც შესაძლებელი იქნება შესაბამის აქტებთან.

შესაბამისად, სამსახურის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორებაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ახალი განმარტებითი ბარათი ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩაათვალა დაავალოს განმცხადებელს, რომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დეტალური, დასაბუთებული განმარტებითი ბარათი, სრული საპროექტო მასალა დამოწმებული სახით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს განმცხადებელს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დეტალური განმარტებითი ბარათი, სადაც დაფიქსირებული იქნება ფართების გასწორებული ციფრობრივი მაჩვენებლები (რომელიც შესაბამისობაში იქნება შეთანხმებული პროექტის გეგმა–ნახაზების) და სრული საპროექტო მასალა დამოწმებული სახით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 14/04/2016 წლის # AR1396727 განცხადება დარჩეს განუხილველი;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.